PDF Eraser Free

დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ გიორგობიანი
წევრები: გიორგი ბერია

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

(მონიტორინგი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე)

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საექთნო საქმე	475	288	17

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №960359 ბრძანების (22.09.2021) საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. თამარ გიორგობიანი - თავმჯდომარე;
2. გიორგი ბერია - წევრი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება (მონიტორინგი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე).

ამ მიზნით, ექსპერტების ჯგუფის მიერ 2021 წლის 29 სექტემბერს კოლეჯ პანაცეაში (მისამართი: თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. N2) განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის 2.2 კომპონენტთან დაკავშირებით და შეადგინა მონიტორინგის ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. კოლეჯში ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და კოლეგიალურ ატმოსფეროში. ვიზიტის დღეს ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულების განმახორციელებელ პირებს, ბიბლიოთეკარსა და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ორგანიზაციების წარმომადგენლებს. შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური და საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსი, ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფმა კოლეჯის წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის განმავლობაში გამოკვეთილი გარემოებები და მიგნებები.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, 2.2 კომპონენტი და შესაბამისად, სტანდარტიც შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, რადგან დაწესებულებაში „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილი ფართის გარკვეულ ნაწილში (ახალ კორპუსში) სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა, რომელიც 2021 წლის ივნისის თვეში დასრულდა. ახალ შენობაში აღნიშნული პროგრამისათვს განთავსებულია სათანადოდ აღჭურვილი 7 (შვიდი) A გარემო, თითოეული აუდიტორია გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე, გარდა ამისა, პროგრამის განსახორციელებლად პირვანდელ (ე.წ. ძველ) კორპუსში გამოყოფილია შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი 8 (რვა) A გარემო (თითოეულ აუდიტორიაში ადგილების რაოდენობა განსაზღვრულია არსებულ ჯგუფში აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად) და ერთი B გარემო - კომპიუტერული კლასი - ლაბორატორია - 25 პროფესიულ სტუდენტზე. ორივე შენობაში განთავსებულია სველი წერტილები (მათ შორის სსსმ პირებისათვის ადაპტირებული), კიბეებზე დამონტაჟებულია პანდუსები, დერეფნებში მოწყობილია პუფებით აჭურვილი სივრცეები, მოქმედებს ცენტრალური გათბობის სისტემა. ახალ შენობაში განთავსებული აუდიტორიები მოემსახურება 2021 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, 2019 - 2020 წლებში ჩარიცხულ კონტიგენტს კი - პირვანდელ კორპუსში განთავსებული აუდიტორიები. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სპეციფიკის (პრაქტიკული კომპონენტის მოდულების კლინიკებში განხორციელების) გათვალისწინებით, დაწესებულებაში არსებული ფართი და მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს 475 პროფესიული სტუდენტის მიღებას, შესაბამისად, 2021 წლის 29 სექტემბერს განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში 2.2 კომპონენტი და სტანდარტი, შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“.

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას 2020 წლიდან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება გერმანულ კომპანია შპს DG Consult-თან საექთნო პერსონალის გერმანიის კლინიკებში დასაქმებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით. პროექტი ხორციელდება გერმანელი პარტნიორების სრული დაფინანსებით, რომლის ფარგლებშიც გერმანული მხარე უზრუნველყოფს გერმანული ენის შესწავლის ინტენსიურ კურსს - (B2 დონე), გერმანიის კლინიკებში სამთვიან სამუშაო პრაქტიკას, B2 დონის სერტიფიკატის აღების შემდეგ გერმანიის კლინიკებში ექთნის პოზიციაზე დასაქმებას, პროექტის ფარგლებში კოლეჯს ჰყავს დასაქმებულები, ვფიქრობთ, რომ გერმანული გამოცდილების დაგროვება და გაზიარება საშური საქმეა აღნიშნულ პროფესიაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

წინა ვიზიტის ფარგლებში კოლეჯში საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით დისტანციური ფორმატის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 20 აპრილს. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით გაწერილი ვადების დაცვის შესახებ, რაც კეთილმოწყობის სამუშაოების 2021წლის ივნისში დასრულებას გულისხმობდა. დაწესებულებაში სარემონტო სამუშაოები დასრულდა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1. „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პროგრამაში შემავალი პრაქტიკული კომპონენტებისა და კლინიკური სწავლების განხორციელების მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა კლინიკასთან. აღნიშნულ ხელშეკრულებები შეიცავს ინფორმაციას კლინიკების მიერ პროფესიული სტუდენტების გამტარუნარიანობის შესახებ, რაც დაწესებულებისათვის ავტორიზაციის საბჭოს მიერ მინიჭებულ პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასა და დაწესებულების მიერ პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის შემთხვევაში - მოთხოვნილ რაოდენობასთან თავსებადი უნდა იყოს. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასა და შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემას“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში კლინიკის მიერ დაფიქსირებული რაოდენობა პროფესიული სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით (სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის კლინიკური და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შემაჯამებელი პრაქტიკის მოდულები), არ იყო თავსებადი კოლეჯის მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან. ხელშეკრულების მხარეებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ხელშეკრულებაში გაიპარა ტექნიკური უზუსტობა. სასურველია, დაწესებულება და კლინიკა მეტი ყურადღებით მოეკიდოს და კონცენტრირება მოახდინოს ისეთი ტიპის მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა პრაქტიკის ობიექტის მიერ პროფესიული სტუდენტების გამტარობა, რათა თავიდან იქნას აცილებული ამგვარი უზუსტობები. გარდა ამისა, უპრიანი იქნება, თუკი აღნიშნული მოდულების განხორციელებაში პინეოს კლინიკასთან ერთად ევექსის კლინიკებიც ჩაერთვება, რადგან ევექსის ქსელს შეუძლია ამ მიმართულების უზრუნველყოფა.

2.2.1.3. დარგში ახალი მიღწევებისა და სტანდარტების გაცნობის მიზნით, კოლეჯმა მეტი ინტენსივობით უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული ტრენინგების ჩატარება შესაბამისი დარგების მიხედვით, რაც ბიძგს მისცემს კოლჯეში უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვნად აისახება შემდგომ განვითარებაზე.

დაწესებულებამ სტრატეგიულად დაისახოს ამოცანა პროგრამის განმახორციელებელი მაღალლვალიფიციური პერსონალის გაძლიერებასთან დაკავშირებით, რაც ექთან - ტრენერების მოზიდვას, საექიმო კონტიგენტის (რომელიც კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების უმრავლესობას წარმოადგენს), შესაბამისი დარგობრივი გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი ექთნებით ეტაპობრივ ჩანაცვლებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას გულისხმობს.

შექმნას როგორც პროფესიული განათლების მასწავლებელების განვითარების, ასევე კურსდამთავრებულთა გადამზადებისა და რეკრუტირების სტრატეგია.

2.2.1.4. სასურველია, გადაიხედოს და დაიხვეწოს კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 03 ოქტომბრის N 41 ბრძანებით განსაზღვრული „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სასურველია, მინიმალურ სტანდარტად დაწესდეს ბოლო 3 წლის განმავლობაში არსებული საექთნო პრაქტიკული გამოცდილება, უმჯობესია ხელმძღვანელ ან საექთნო მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება. ასევე კოლეჯის მიერ ამ თანამდებობაზე მიღების/დაშვების წინპირობად დაწესდეს გასაუბრება და ადეკვატური შეფასების კომპონენტები, შემდეგ კი, შიდა ტრენინგებით უზრუნველყოფილ იქნას შერჩეული კანდიდატის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/განვითარებაში ჩართულობისა და კომპეტენციის ზრდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების ბრძანება №42, 27/06/2019 ბოლო ცვლილების ბრძანება №111, 15/09/2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, თორნიკე ერისთავის №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	475
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1)		
2.2)		სრული
2.3		
2.4)		

სტანდარტის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა საგანმანათლებლო საქმიანობას „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ქალაქ თბილისში, ერისთავის N2 -ში მდებარე შენობა - ნაგებობაში, სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი 8 (რვა) A გარემო ერთ (პირვანდელ) შენობაში (თითოეულ აუდიტორიაში ადგილების რაოდენობა განსაზღვრულია არსებულ ჯგუფში აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად) და 7 (შვიდი) A გარემო მეორე (ახალ) შენობაში, თითოეული აუდიტორია გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე, <u>(ახალ შენობაში განთავსებულ სასწავლო გარემოში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რაც 2021 წლის ივნისის თვეში დასრულდა, ანუ კოლეჯის მიერ</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შემუშავებულ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით). პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია ასევე სათანადოდ აღჭურვილი ერთი B გარემო - კომპიუტერული კლასი - ლაბორატორია - 25 პროფესიულ სტუდენტზე. ორივე შენობაში განთავსებულია სველი წერტილები (მათ შორის სსსმ პირებისათვის ადაპტირებული), კიბეებზე დამონტაჟებულია პანდუსები, დერეფნებში მოწყობილია პუფებით აჭურვილი სივრცეები. მოქმედებს ცენტრალური გათბობის სისტემა. ახალ შენობაში განთავსებული აუდიტორიები მოემსახურება 2021 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, ხოლო 2019 - 2020 წლებში ჩარიცხულ კონტიგენტს - პირვანდელ კორპუსში განთავსებული აუდიტორიები. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სპეციფიკის (პრაქტიკული კომპონენტის მოდულების კლინიკებში განხორციელების) გათვალისწინებით, დაწესებულებაში არსებული ფართი და მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს 475 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

„საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან: სს „ევექსის ჰოსპიტლები“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 25.07.2019), ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 01.01.2021), შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 10.06.2019) და „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“(ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 29.07.2019). კლინიკები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადაც უკვე ხორციელდება კოლეჯის 2019 და2020 წელს ჩარიცხულ პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტების სწავლება. აღნიშნულ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვება კლინიკა, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს იმ გაანგარიშებით, რომ 7(შვიდ) პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ერთი პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი კლინიკური სწავლებისათვის და გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალები. შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების 2021 წლის 19 მარტით დათარიღებულ დანართი N2 - ის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ კლინიკა კლინიკური სწავლების მზაობას 475 (ოთხასსამოცდათხუთმეტი) პროფესიული სტუდენტისთვის გამოთქვამს, თუმცა, მეორე პუნქტი იქვე განმარტავს, რომ ერთი წლის განმავლობაში კლინიკა 100 (ასი) - ზე მეტ პროფესიულ სტუდენტს ვერ მიიღებს. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2019 და 2020 წლების პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვებთან დაკავშირებული სტატისტიკურ მონაცემების მიხედვით, 2019 წელს ერთ მიღებაზე „საექთნო საქმის“ პროგრამაზე ჩაირიცხა 121, ხოლო 2020 წელს - 183 პროფესიული სტუდენტი, კლინიკა „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ ვერ უზრუნველყოფს ყველა პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
სტუდენტის კლინიკურ სწავლებას, მით უმეტეს, რომ წარმოდგენილი მასალების მიხედვით, სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის კლინიკური და შემაჯამებელი პრაქტიკის მოდულების განხორციელებას მხოლოდ აღნიშნული კლინიკა უზრუნველყოფს. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, გავესაუბრეთ როგორც საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხსმგებელ პირს, ასევე შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემის“ კლინიკის წარმომადგენელს. ორივე მხარემ მკაფიოდ განმარტა, რომ ეს არის ტექნიკური უზუსტობა, პინეოს კლინიკის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კლინიკა გაფართოვდა, გაზარდა საწოლფონდი და მზადაა უზრუნველყოს კოლეჯის მიერ მოთხოვნილი რაოდენობის პროფესიული სტუდენტების სწავლება. სასურველია, დაწესებულება და კლინიკა მეტი ყურადღებით მოეკიდოს და კონცენტრირება მოახდინოს მსგავსი ტიპის მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ამგვარი ტექნიკური უზუსტობები. გარდა ამისა, უპრიანი იქნება, თუკი აღნიშნული მოდულების განხორციელებაში პინეოს კლინიკასთან ერთად ევექსის კლინიკებიც ჩაერთვება, რადგან ევექსის ქსელს შეუძლია ამ მიმართულების უზრუნველყოფა.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კლინიკები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას**

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ირკვევა, რომ „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 30 პროფესიული განათლების მასწავლებელი (მათ შორის ზოგადი მოდულები - 7 (2 - საინფორმაციო ტექნოლოგია, 2 - უცხო ენა, 3 - კომუნიკაცია), და პროფესიული მოდულები - 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი). 2021 წლის 01 აპრილს ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯ პანაცეაში განხორციელებული ვიზიტის დროს დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმას, რაც 2021 წლის 29 სექტემბერს განხორციელებული ვიზიტის დროს კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებითაც დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

აღნიშნული პუნქტის შეფასების მიზნით, ექსპერტებმა გადაამოწმეს „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. ექსპერტები გაესაუბრნენ „გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლებისა“ და „კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზიის“ მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს.

გასაუბრების დროს (გასაუბრება შედგა დისტანციურ ფორმატში ZOOM - ის აპლიკაციის დახმარებით) დარგის ექპერტის მხრიდან შეკითხვები ეხებოდა მოდულების სწავლებისა და შეფასების სპეციფიკას მოდულის თემატიკისა გათვალისწინებით. შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირს ზოგადად აქვს სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება, თუმცა გამოვლინდა, რომ აღნიშნული მოდულების სწავლების ფარგლებში სათანადო აქცენტი არ კეთდება პირველადი გადაუდებელი დახმარების მომცველ საბაზისო საერთაშორისო კურსზე - Basic Life Support (BLS), ხოლო ამ კურსის მანიპულაციების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია საჭიროებს განახლებას. იგივე შეიძლება ითქვას კარდიოვასკულური დახმარების (ACLS) დროს საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების შესახებ.

<u>სასურველია:</u>

<u>დარგში ახალი მიღწევებისა და სტანდარტების გაცნობის მიზნით, კოლეჯმა მეტი ინტენსივობით უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული ტრენინგების ჩატარება შესაბამისი დარგების მიხედვით, რაც ბიძგს მისცემს კოლჯში უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვნად აისახება შემდგომ</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>განვითარებაზე, მით უმეტეს, რომ პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს როგორც პროგრამისა და განმახორციელებელი პერსონალის განვითარებაზე ზრუნვას.</u>

<u>კოლეჯმა სტრატეგიულად დაისახოს ამოცანა, პროგრამის განმახორციელებელი მაღალლვალიფიციური პერსონალის გაძლიერებასთან დაკავშირებით, რაც ექთან - ტრენერების მოზიდვას, საექიმო კონტიგენტის (რომელიც კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების უმრავლესობას წარმოადგენს), შესაბამისი დარგობრივი გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი ექთნებით ეტაპობრივ ჩანაცვლებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას გულისხმობს.</u>

<u>აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, კოლეჯმა შექმნას როგორც პროფესიული განათლების მასწავლებელების განვითარების, ასევე კურსდამთავრებულთა გადამზადებისა და რეკრუტირების სტრატეგია.</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 03 ოქტომბრის N 41 ბრძანებით დამტკიცებულია „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც განისაზღვრება შესაბამისი განათლებით, ექთნად ან მასწავლებლად მუშაობის გამოცდილებით, სახელმწიფო ენის ცოდნით, საექთნო საქმის დარგობრივი კომპეტენციების უნარების ფლობით, კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნით, კომუნიკაბელურობითა და სხვ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დოკუმენტაცია აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, აქვს საექთნო განათლება და შესაბამის დარგში მუშაობის გამოცდილება.
პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას, ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ ჩართულია პროგრამის განხორციელების პროცესში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრება პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართულია შეფასების ინდტრუმენტის ვალიდაციის პროცესში, თუმცა, ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პროგრამის ხელმძღვანელს პრაქტიკოს ექთნად მუშაობის ბოლო გამოცდილება მიღებული აქვს 1985-1989 წლებში (32 წლის წინ), რაც ვერ უპასუხებს ამ დარგის თანამედროვე მოთხოვნებს, განვითარების დინამიკას, არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს.
პროგრამის ხელმძღვანელს სათანადოდ არ აქვს გათავისებული ექთნის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე ჯანდაცვის სისტემაში, არ გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა დარგში მიმდინარე პროცესებზე.
2021 წლის 20 აპრილს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის მიზნით განხორციელებული დისტანციური ვიზიტისას, ექსპერტის მიერ ყურადღება გამახვილებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის ინფორმირებულობისა და პროცესებში გათვითცნობიერების სიმწირეზე, თუმცა, იქვე აღინიშნა, რომ იგი ახალი დანიშნულია და მონაწილეობას არ იღებდა პროგრამის შემუშავების პროცესში. მომავალში კი შეძლებდა კოორდინირება გაეწია პროფესიული განათლების მასწავლებლების საქმიანობისათვის და შეესრულებინა შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
<u>შეჯამების სახით შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით პროგრამის ხელმძღვანელი აკმაყოფილებს სტანდარტების მოთხოვნებს, აღნიშნული მოთხოვნები პრაქტიკაში საკმარისი არ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ დაწესებულებას ჰყავდეს ისეთი კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელის რანგში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა პროგრამის ხარისხის განვითარებაში.</u>
<u>აქედან გამომდინარე, სასურველია, გადაიხედოს კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 03 ოქტომბრის N 41 ბრძანებით განსაზღვრული „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სასურველია, მინიმალურ სტანდარტად დაწესდეს ბოლო 3 წლის განმავლობაში არსებული საექთნო პრაქტიკული გამოცდილება, უმჯობესია, ხელმძღვანელ ან საექთნო მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება. ასევე კოლეჯის მიერ ამ თანამდებობაზე მიღების/დაშვების წინპირობად დაწესდეს გასაუბრება და ადეკვატური შეფასების კომპონენტები, შემდეგ კი შიდა ტრენინგებით უზრუნველყოფილ იქნას შერჩეული კანდიდატის პროგრამის შემუშავება/განვითარებაში ჩართულობისა და კომპეტენციის ზრდა.</u>
<u>სასურველი იქნება, პროგრამის ხელმძღვანელის დარგობრივი კომპეტენციის მოთხოვნებთან დაკავშირებული კომპონენტი ავტორიზაციის სტანდარტების შემუშავებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი ორგანოების მიერ თუ გადაიხედება.</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ვიზიტის ფარგლებში მოხდა საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება, ბიბლიოთეკართან გასაუბრება და „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების გადამოწმება. გადამოწმების შედეგად ადგილზე აღმოჩნდა ექსპერტის მიერ დასახელებული ლიტერატურა. რესურსების ხელმისაწვდომობას აადვილებს ის ფაქტიც, რომ ევროკომისიის დაფინანსებით თარგმნილია და ელექტრონულად ხელმისაწვდემია საექთო ლიტერატურის დიდი უმრავლესობა, აღნიშნული რესურსის ხელმისაწვდომობას პროფესიული სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს კოლეჯი. აღნიშნულის გათვალისწინებით, დასტუდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგით გათვალისწინებული სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რეგულაციები, სადაც აღწერილია და დასტურდება სსსმ პირების ინდივიდუალური სასწავლო გეგით გათვალისწინებულ ადაპტირებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის მექანიზმების არსებობა სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ამ ეტაპზე სსსმ პირი არ ირიცხება.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების მიერ მონიტორინგის ვიზიტის დაწყებამდე წარმოდგენილ „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტში, აღწერილია შემოსავლები და ხარჯები. პროგრამის შემოსავალია ვაუჩერული დაფინანსება. კოლეჯის მიერ რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 15 პროფესიული სტუდენტით, რომლის ფარგლებშიც პროგრამის შემოსავალი 133965 (ასოცდაცამეტიათასცხრაასსამოცდახუთი) ლარს შეადგენს. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია სხვადასხვა ხარჯები (პროგრამის განმახორციელებელი პირების ანაზღაურება, ადმინისტრაციული, საკანცელარიო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საოფისე, კომუნალური და საიჯარო, პროგრამის განვითარების, პერსონალის განვითარების და სხვა). ამდენად, აღნიშნული პროგრამისგანხორციელების ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტით
- აზომვითი ნახაზით, საჯარო რეესტრ ამონაწერით
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით
- პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებული დოკუმენტაციით
- პროგრამის ბიუჯეტით
- შესრულებული სარემონტო სამუშაოების შესახებ დოკუმენტაციით
- პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ კლინიკებთან დადებული ხელშეკრულებებით
- კოლეჯის წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

1. მონიტორინგის ვიზიტის დღის წესრიგი

01.11.2021 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: